საქართველოს მთავრობის

დადგენილება №614

2022 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის №172 დადგენილების შეჩერების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის №172 დადგენილების შეჩერების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/01/2022, 240110000.10.003.023248) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, 2026 წლის 1 იანვრამდე შეჩერებულ იქნეს „სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის №172 დადგენილების მოქმედება.“.

მუხლი 2

დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უზრუნველყოს გადავადებული ნორმის ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმის დამტკიცება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 2023 წლის 1 ივნისამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**